

**ესელურ სისტემებში დაფიქტოვის განაღილების ოპტიმალური მეთოდები
მაღალი ინტენსივობის საინჰორმაციო ნაკადების არსებობისას**

ოთარ ნატროშვილი, ცისანა ხოშტარია, ნინო ნატროშვილი,

სიმონ ხოშტარია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დამუშავებულია კომპიუტერულ ქსელებში მაღალი ინტენსიობის კლიენტ-სერვერული ინფორმაციით ჭარბი დატვირთვების არსებობის დროს საკომუტაციო კვანძების გამოსასვლელ ინტერფეისებზე ჲაკეტების ოპტიმალური განაწილების მეთოდები.

საკანძო სიტყვები: კომპიუტერული ქსელები. საკომუტაციო კვანძები. ჲაკეტების განაწილება.

1. შესავალი

ნებისმიერი ტიპისა და დანიშნულების კომპიუტერულ ქსელებში ჰარდუერის შორის კლიენტ-სერვერული საინფორმაციო ჲაკეტების ელექტრონული ტრანსპორტირებისას ეფექტურ გადაწყვეტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა დადი ზომის კორპორაციულ, ასევე გლობალურ კავშირებში ქსელის მუშაობის პიკის საათებში. ასეთ დროს ძნელდება მაღალი ინტენსიობის საინფორმაციო ნაკადების რიგების მართვა, რაც საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ქსელის მუშაობის ეფექტურობაზე. იზრდება მომხმარებელთა მხრიდან ლოდინის დრო განაცხადების დამუშავებაზე, რასაც მოსდევს მათი სამართლიანი უკავილებები. აღნიშნული პრობლემის სიმძაფრე განპირობებულია იმითაც, რომ რაც დრო გადის მით უფრო იზრდება ქსელური სერვერების რაოდენობა და ამ სერვერების მომხმარებელთა საერთო რიცხვი. პრობლემატურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ საინფორმაციო გაცვლები (როგორც კლიენტ-სერვერული, ასევე სერვერ-სერვერული ხასიათის) თანდათან როდებულდება. წარმოიქმნება სენსებს შორის საინფორმაციო ნაკადების ინტენსიობის არაპროგნოზირებადი ცვალებადობა, რაც იწვევს ტრაფიკის შესამჩნევ პულსაციებს. ყოველივე ამას კი თავის მხრივ მოსდევს საკომუტაციო ურთიერთობების (განსაკუთრებით სატრანზიტო ხაზებზე) შესაბამისი გართულება, რასაც ხელს უწყობს ქსელის არხებში რიგების გადანაწილების ავტომატიზაციის არასაკმარისი დონეც. ყოველივე ეს განაპირობებს მაღალი ინტენსიობის საინფორმაციო ნაკადების მართვაში გარკვეულ სიმძლეებს, რასაც ამძაფრებს საკომუტაციო სტრუქტურების იძულებითი იერარქიულობის შემოტანის აუცილებლობაც. ამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ შეძლები მაგალითები: დავუშვათ, რომ რომელიმე კლიენტის კომპიუტერი კორპორაციის რომელიღაც ერთი ჯგუფიდან უქმნის მეტად ინტენსიურ ტრაფიკს სერვერს, რომლის მომსახურებითაც სარგებლობს აგრეთვე მეორე ჯგუფიც. თუ გამოვალთ მხოლოდ ტრაფიკის შესაბამისი დონის შენარჩუნების საჭიროებიდან, ტრაფიკის პულსაციების თავიდან

ასაცილებლად ეს ორი კვანძი (კლიენტისა და სერვერის) სასურველია გააერთიანოს მაღალი წარმადობის ერთმა კომუტატორმა. მაგრამ ყოველთვის ეს ვერ ხერხდება, ვინაიდან ყველა დამორჩული მუშა ჯგუფების შემაერთებელი კავნძების აღჭურვა ძვირადღირებული კომუტატორებით დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს და პრაქტიკულად ეს შეუძლებელიცა სატრანზიტო კვანძების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე (რომლებიც მიღიონობითაა ქსელურ გლობალურ გაერთიანებებში). ამიტომ დღეს-დღეობით მაღალი ინტენსიონის საინფორმაციო ნაკადების მართვის გასაადვილებლად, ხშირად მიმართავენ მიკროსეგმენტაციას. ეს ნიშნავს იმას, რომ ცალკეული კომპიუტერი მიუერთდება არა რომელიმე დაყოფილ სეგმენტს, არამედ კომუტატორის ცალკეულ პორტს (თანაც მაღალსიჩქარიან პორტს).

საინფორმაციო ნაკადების მართვისას პაკეტების გადაადგილების ამგვარი მეთოდის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტრაფიკი გადის უფრო რთულ გზას, ე.ი. მონაცემებმა (საინფორმციო ნაკადმა) უნდა გაიაროს სხვადასხვა ჯგუფის ორი ლოკალური კომუტატორი მაინც და პლიუს ამას საჭიროა კიდევ ერთი დამატებითი კომუტატორი, რომელიც პოსტის საბოლოო ადგილზე შეართებს ამ ჯგუფებს. ასეთი “იძულებითი იერარქია” ამგვარი მომენტისათვის აღმოჩნდება უფრო “მნიშვნელოვანი”, ვიდრე ტრაფიკის ერთ ტრაექტორიაზე სრული გავლა. ამიტომაც არის, რომ ქსელში კვნძების შესამჩნევი ზრდა ამგვარი სტრუქტურების გამოყენების დროს “თავსატეხს” უჩენს ქსელის ინტეგრატორს იმ თვალსაზრისით, რომ მან უნდა შეასრულოს მეტად შრომატევადი ამოცანა, რომელიც ითხოვს მის ხელთ არსებულ კომუტატორებზე პორტების დამატებას (რა თქმა უნდა თუ მის განკარგულებაში მყოფი საკომუტაციო მოწყობილობები იძლევა მის ტექნიკურ შესაძლებლობას) ან საჭიროა დამატებული იქნას ახალი კომუტატორი, რაც ასევე ქმნის გარკვეულ (ფინანსური ხასიათის) პრობლემას. მას ემატება ის პრობლემაც, რომ ქსელის მრავალდონიანი სტრუქტურების სიჭარბე უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო გამტარუნარიანობის მქონე კავშირებითაც (შემაერთებელი არხებითაც). ინტენსიური ტრაფიკის დროს (მაგალითად, კორპორაციაში სამუშაო დატვირთვის პიკურ საათებში) რაც უფრო მაღალია იერარქიული დონე, მით უფრო იზრდება მონაცემთა ცალკეული ნაკადების რაოდენობა ქსელის იმ არხებში, რომლებიც აკავშირებენ კომუტატორებს (ე.ი. სატრანზიტო კომუტატორებს). ამისათვის საჭიროა დამუშავდეს ისეთი პროექტები, რომლებიც პრობლემებს გადაწყვეტინ თპტიმალურად. ისინი გათვლილი იქნებიან ტრაფიკის განაწილების ნებისმიერ ხასიათზე და კავშირის არხების წარმადობა (და შესაბამისად კომუტატორებისა და მარშრუტიზატორების პორტები) ქსელის ზედა დონეებისათვის უნდა შეირჩეს უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი დონეებისათვის (ამჟამად Ethernet/Fas Ethernet/Gigabit Ethernet პროტოკოლების ოჯახი სთავაზობენ ქსელის ინტეგრატორებს შესაბამისად 10/100/1000 მბიტ/წმ სიჩქარეების იერარქიას). [1]

გადატევირთული ცალკეული რეჟიმებისათვის ასევე ქსელის მუშაობის პიკის საათებში პულსირებული ტრაფიკის ოპტიმალური რეგულირებისათვის ბოლო პერიოდში ზშირად მიმართავენ კომუტატორებსა და მარშრუტიზატორებს, რომლებსაც გააჩნიათ მოდულური შესრულება (უფრო ზუსტად, შესაბამის მოწყობილობებში დამატებითი მოდულების ჩაშენების შესაძლებლობა). ეს საშუალებას აძლევს ქსელის ინტეგრატორს შეცვალოს პორტების ტიპი და შესაბამისად არხების სიჩქარეებიც. ეს გამოწვეულია, როგორც ავლნიშნები იმ გარემოებით, რომ საჭირო ხდება მიმდინარე ტრაფიკის ინტენსიონის ზუსტი შესაბამისობის მიღწევა პორტების სიჩქარეებთან (ე.ი. საკომუტაციო მოწყობილობების გამოსასვლელი ინტერფეისის პორტების სიჩქარეებთან). მიუხდავად ამისა, როგორც იტყვიან, პრობლემები მაინც რჩება პრობლემებად. მათ დასაძლევად ძალზე მნიშვნელოვანია საკომუტაციო მეურნეობაში ახალი მიღვომების დამუშავება, რომელთაგან ერთ-ერთის არსი გადმოცემულია წარმოდგენილი სტატიის მომდევნო (ძირითად) ნაწილში.


2. ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილი სტატიის შესავალში მითითებული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ოპტიმალურ მიღვომად უნდა ჩაითვალოს კომპიუტერულ ქსელებში სატრანზიტო საკომუტაციო მოწყობილობებით ქსელურ გაერთიანებებში პაკეტების მიმღებ-გადამცემი ტექნოლოგიური ხაზების (კვანძთაშორისი არხების) მაღალი ინტენსიონის საინფორმაციო ნაკადებით მაქსიმალურ დატევირთვისას (კვანძის მოწყობილობების სწრაფექმედების გათვალისწინებით) გამოსასვლელ ინტერფეისებზე გასაცემი პაკეტების ოპტიმალური თანმიმდევრობების შერჩევის ამოცანის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების წარმატებით გადაწყვეტა. ეს საშუალებას მოგვცემს დამუშავებული იქნას საინფორმაციო ნაკადების ქსელში ელექტრული ტრანსპორტირების ოპტიმალური გადაწყვეტის უფრო ეფექტური ალგორითმები, ვიდრე ეს შეინიშნება დღეს-დღეობით. განვიხილოთ მოდელი, რომელიც აღწერს სატრანზიტო საკომუტაციო კვანძის შესასვლელი (m) და გამოსასვლელი (m') პორტების ურთიერთკავშირს, ასევე მაღალი ინტენსიონის საინფორმაციო ნაკადებში შემავალი n პაკეტების განაწილების პროცედურებს გამავალი ინტერფეისის m' ხაზებს შორის. ნაკადში შემავალი პაკეტების სიმრავლე აღვნიშნოთ, როგორც $G = \{g_j, 1 \leq j \leq n\}$, ამასთან წინასწარ ვგულისხმობთ, რომ მრავალარხიანი კავშირის i – ური ხაზებისათვის $i = \overline{1, m}$ უკვე ცნობილია მათი მაქსიმალური გამტარუნარიანობა, ე.ი. დროის ერთეულში გასატარებელი პაკეტების მაქსიმალური რაოდენობა. ავღნიშნოთ ეს როგორც $G_i, |G_i| = n_i$. ამასთან G_i სიმრავლიდან საკომუტაციო სისტემაში პაკეტების რიგში S –იურ ადგილებზე განაწილებისათვის მოცემულია შესრულების მაქსიმალური დრო β_{i_s} , $S = \overline{1, n_i}$ ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი მოთხოვნა პაკეტების განაწილების შესახებ, მათ შორის მთავარია

ის, რომ თითოეული $g_j \quad j = \overline{1, n}$ არ უნდა წყდებოდეს მის სრულად დამთავრებამდე. ამასთან ვთვლით, რომ კვანძთაშორისი კავშირის i -ური ხაზები ფუნქციონირებს ერთმანეთისაგნ დამოუკიდებლივ. ისინი შესაძლებელია განსხვავდებოდეს ან არ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან მათი სწრაფქმდებისა და გამტარუნარიანობით.

გაზრდილი ტრაფიკის (ძირითად პიკურ დროში) რეგულირების მიზნით საკომუტაციო კვანძის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ აწარმოოს პაკეტების გადანაწილება გამავალ პორტებს შორის ისეთნაირად, რომ მიმდინარე მომენტში კავშირის i -ური ხაზები უზრუნველყოფილ იყოს დატვირთვის მისაღები დონით g_{i_s} რაოდენობის პაკეტების გასანაწილებლად γ_{i_s} დროში $i = \overline{1, m};$

$S = \overline{1, n_i}$. γ_{i_s} დროის განმავლობაში i -ურ ხაზზე გადაეცემა პაკეტების გარკვეული სიმრავლე g_{i_s} და მათი (პაკეტების) ჩაბარებისთანავე დანიშნულების ადგილიდან (ეს შეიძლება იყოს მეზობელი სატრანზიტო კვანძი ან ჰოსტის საკომუტაციო მოწყობილობა) უკუმიმართულებიდან (მიმღებიდან წყაროსაკენ) დასტურის შეტყობინება η_{i_s} დროის განმავლობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ საკომუტაციო კვანძებში მორიგი ნაკადის, ე.რ. პაკეტების მორიგი სიმრავლის განაწილება არ შიძლება დაწყებული იქნეს მეზობელ (უახლოეს) კვანძში მათი ჩაბარების მომენტის დამთავრებამდე, ე.ი. სანამ წყარო-კვანძის მიერ არ იქნება მიღებული დადასტურება უახლოესი მიმღები-კვანძის ადგილიდან, იხარჯება რა ამ უკუგზაზე η_{i_s} დროის ერთეული. ეს დადასტურება შეიძლება შეიცვალეს როგორც დადებით, ისე უარყოფით შეტყობინებებს პაკეტების შესაბამისად კორექტულად ან არაკორექტულად (შეცდომებით ან დამახინჯებით) მიღების შესახებ. ამ უკანასკნელის შემთხვევაში წყარო-კვანძი ზელახლა აგზავნის პაკეტებს დანიშნულების ადგილისაკენ.



1, 2, ..., i, ..., m – საკომუტაციო კვანძის შესასვლელი პორტები
 $1', 2', ..., i', ..., m'$ – საკომუტაციო კვანძის გამოსასვლელი პორტები
ნახ.1. სატრანზიტო საკომუტაციის კვანძი

საკომუტაციო სატრანზიტო კვანძი, რომელიც შესასვლელ და გამოსასვლელ ინტერფეისებზე არეგულირებს თითოეული i -ური ხაზის დატვირთვას, ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.

საჭიროა განვსაზღვროთ საკომუტაციო კვანძით (საკომუტაციო მოწყობილობებით) კავშირის სატრანზიტო i -ური ხაზების დატვირთვის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს პაკეტების გადაცემის მინიმალურ დროს თავისი გამოსასვლელი პორტებიდან მეზობელი საკომუტაციო კვანძის შესასვლელ ინტერფეისზე.

საინფორმაციო ნაკადების განაწილების მოცემულ მომენტში სატრანზიტო საკომუტაციო კვანძში გარკვეული პრიორიტეტული ნიშნებით ფორმირდება პაკეტების რიგი საკომუტაციო მოწყობილობების გამოსასვლელ ინტერფეისთან დაკავშირებულ i -ურ ხაზებში გადასაცემად. პაკეტის რიგის ფორმირების ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს პაკეტების გადანაცვლებათა წარმოქმნაში (სპეციალური პროგრამით). პაკეტების რიგში ადგილმდებარეობათა ცვლილებების პროგრამა მოიცემა π თანმიმდევრობის ფორმირებისათვის : $\pi = (j_1, j_2, \dots, j_k, \dots, j_n)$, სადაც $j_k - G$ სიმრავლის კომპონენტების ინდექსებია.

ნებისმიერად ფორმირებულ π გადანაცვლების თითოეულ ელემენტს შევუსაბამოთ პარამეტრი

$$b_{i_{j_k}} = \begin{cases} \beta_{i_k}, & \text{თუ } K\text{-ური პაკეტი } \pi \text{-ში ეკუთვნის } G_i\text{-ს;} \\ 0, & \text{სოდენ.} \end{cases}$$

მაშინ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის მიზნობრივი ფუნქცია მიიღებს სახეს

$$Q(\pi) = \max[S, W(\pi)], \quad \text{სადაც } S = \sum_{k=1}^n \gamma_k + \sum_{k=1}^n \eta_k,$$

$$W(\pi) = \max_{1 \leq i \leq m} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=1}^{l-1} \eta_{j_k} + \sum_{k=l}^n b_{i_{j_k}} \right)$$

ამ გამოსახულებაში γ_{j_k}, η_{j_k} და $b_{i_{j_k}}$ - დროითი სიღილეების გამომსახველი მთელი არაუარყოფითი რიცხვების სიმრავლეა.

საკომუტაციო კვანძიდან პაკეტების i -ურ ხაზზე (ნახ.1) მიწოდების დრო საკმაოდ რთული გამოსათვლელია, რომელიც საჭიროა $g_{i_s}, i = \overline{1, m}, S = \overline{1, n_i}$ ნაკადის განაწილებისათვის, ვინაიდან მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ტრანზიტის წყარო-კვანძიდან მიმღებ-კვანძამდე პაკეტების გადაცემის დროის პარამეტრები, ასევე დროითი პარამეტრები i -ური ხაზით გადაცემული პაკეტების დანიშნულების ადგილისაკენ მიღების დასტურის უკუმიმართულებით შეტყობინებისათვის. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ტოლობასაც, ე.ი. პაკეტების ჩაბარების დრო ემთხვეოდეს დასტურის შეტყობინების დროს. ამგვარად, საკომუტაციო კვანძში შესაძლებლია ისეთი განაწილების მიღება,

რომლის დროსაც მინიმიზირდება ფუნქციონალი $Q(\pi)$, $\gamma_{i_s} = \eta_{i_s}$, $i = \overline{1, m}$, $S = \overline{1, n}$ პირობების დროს [2,3].

ამგვარად, საკომუტაციო კვანძში პაკეტების განაწილების ტექნოლოგიური პროცესის მთავარი ამოცანა (დროითი დანახარვების მინიმიზაციის თვალსაზრისით) მდგომარეობს π გადაადგილების (გასანაწილებელი პაკეტების რიგითობის დადგენის) ოპტიმალური სახის რიგითობის (π^*) დადგენაში, რომელიც შეესაბამება $W(\pi)$ ფუნქციონალის მინიმუმს, ე.ი. π^* გადანაცვლება უნდა მოახდინოს

$$W(\pi) = \max_{1 \leq i \leq m} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^{l-1} \eta_{j_k} + \sum_{k=l}^n b_{i j_k} \right) \quad (1)$$

ფუნქციონალის მინიმიზირებაში.

დავუშვათ $m = 1$, ე.ი. საკომუტაციო კვანძი ემსახურება მხოლოდ ერთ სატრანზიტო ხაზს, მაშინ

$$W(\pi) = \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=1}^{l-1} \eta_{j_k} + \sum_{k=l}^n \beta_{j_k} \right) \quad (2)$$

და თუ პარამეტრი γ_k -ს მნიშვნელობა დამოკიდებულია მხოლოდ ტექნოლოგიური ხაზის სიგრძეზე (ე.ი. მანძილზე ორ მეტობელ სატრანზიტო საკომუტაციო კვანძებს შორის), მაშინ $\gamma_j = \gamma$, $k = \overline{1, n}$

განვიხილოთ ორი მტკიცება

მტკიცება 1. (2) ფუნქციონალის მინიმიზაციის ამოცანის შესრულება შესაძლებელია, როცა განსაზღვრულია სიდიდეები γ_i და $\beta_i - \gamma_i$, $i = \overline{1, n}$.

დამტკიცება. დავუშვათ $B = \sum_{i=1}^n \beta_i$. ასეთ შემთხვევაში (2) აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} W(\pi) &= \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l 2\gamma_{j_k} + \sum_{k=l+1}^{l-1} \beta_{j_k} + \beta_{j_l} - \gamma_{j_l} \right) = \\ &= \max_{1 \leq l \leq n} \left[\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + B + \sum_{k=1}^{l-1} (\gamma_{j_k} - \beta_{j_k}) \right] = B + W'(\pi) \quad \sum_{j=1}^n \gamma_i = A \end{aligned}$$

$$a_{i_{j_k}} = \begin{cases} \max(0, \beta_{i_k} - \gamma_{j_k}), \text{თუ } K - \text{ური პაკეტი ეკუთვნის } G_i \text{სიმრავლეს} \\ 0 \quad \text{შემთხვევაში,} \end{cases}$$

$$\text{სადაც } W(\pi) = \max_{1 \leq l \leq n} \left[\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} - \sum_{k=1}^{l-1} (\beta_{j_k} - \gamma_{j_k}) \right]$$

წარმოადგენს მიზნობრივ საძიებელ ფუნქციას.

მტკიცება 2. ამ მტკიცებისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა.

დავუშვათ π^* - ისეთი თანმიმდევრობაა, რომ

$$V(\pi^*) = \min_{\pi} V(\pi) = \max_{1 \leq i \leq n} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^n a_{i,j_k} \right),$$

მაშინ π^* ახდენს (1)-ის მინიმიზაციას.

დამტკიცება. ქსელში გადასაცემი პაკეტების საკომუტაციო კვანძის ბუფერში ნებისმიერი π გადანაცვლებისათვის განვსაზღვროთ ისეთი ინდექსები

$$i_0 \in \{1, 2, \dots, m\}, \quad \ell_0 \in \{1, 2, \dots, n\}, \quad \text{რომ}$$

$$\begin{aligned} W(\pi) &= \max_{1 \leq i \leq m} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^{l-1} \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^n b_{i,j_k} \right) = \\ &= \sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=1}^{l-1} \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^n b_{i_0,j_k} \end{aligned}$$

გავითვალისწინებთ რა ზემოთ შემოტანილ აღნიშვნებს (ინდექსებს) და 1-ელ მტკიცებაში ნაჩვენებ ტოლობას, მივიღებთ

$$\begin{aligned} W(\pi) &= \max_{1 \leq i \leq m} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=1}^{l-1} \gamma_{j_k} + \sum_{k=l}^n b_{i,j_k} \right) + A = \\ &= \max_{1 \leq i \leq m} \max_{1 \leq l \leq n} \left(\sum_{k=1}^l \gamma_{j_k} + \sum_{k=1}^{l-1} a_{j_k} \right) + A = V(\pi) + A \end{aligned}$$

ამით ეს მტკიცება დამტკიცებულია.

$$(1) \quad \text{გამოსახულების } \text{მინიმიზაციისათვის \quad საკმარისია \quad თითოეული \quad } \beta_j \text{-სთვის, \quad } j = \overline{1, n}$$

განისაზღვროს $\max(0, \beta_j - \gamma_j)$ და მოიძებნოს ისეთი გადადგილება, რომელიც მოგვცემს $V(\pi)$ -ის მინიმუმს.

ამგვარად, $\pi_s = \pi_s^*$ რაღაც V საზღვრისათვის წარმოადგენს ოპტიმალურ გადანაცვლებას, რომლის დროსაც $W(\pi) = W(\pi^*)$.

3. დასკვნითი ნაწილი

კომპიუტერული ქსელური ტექნიკის განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება ქსელთან მიერთებული კვანძების (როგორც მომხმარებელთა მუშა სადგურების - პერსონალური კომპიუტერების, ასევე სერვერული მეინფრეიმების) რიცხვი და მათი მეშვეობით ქსელური სერვისების

მომხმარებელთა საერთო რაოდენობა. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იწვევს ქსელის არხებში გადასაცემი საინფორმაციო ნაკადების ინტენსიონის მკაცრ ცვლილებებს, პერძოდ მის ამაღლებას, რასაც ქსელის მუშაობის პიკური დროის მომენტში თან სდევს კლიენტ-სერვერული პაკეტების მიმღებ-გადამცემ რგოლში ჭარბი დატვირთვების წარმოქმნა. ასეთ დროს ქსელში საკომუტაციო სისტემების შესასვლელ ინტერფეისში წარმოიქმნება პოსტის კომპიუტერებისაკენ ქსელის არხებში გადასაცემი პაკეტების გარკვეული სიგრძის რიგები. ეს უკანასკნელი კი, როგორც წარმოდგენილი სტატიის შესავალ ნაწილში აღნიშნეთ, იწვევს ქსელის რეაქციის დაჭვითებას მისი აბონენტების მხრიდან სხვადასხვა მომსახურების განაცხადებზე, რაც ძირითადად გამოიხატება მომხმარებელთა მოთხოვნებზე პასუხების დაგვანებაში.

წარმოდგენილ სტატიაში დამუშავებული მოდელის საფუძველზე ნაჩვენებია კომპიუტერულ ქსელებში კვანძმთაშორისი არხების მაღალი ინტენსიონის საინფორმაციო ნაკადებით მაქსიმალური დატვირთვისას ტრაფიკის ოპტიმალური რეგულირების ახალი მიდგომები. განხილულია კომუტატორის გამოსასვლელ ინტერფეისებზე გადასაცემი პაკეტების ოპტიმალური თანმიმდევრობის შერჩევის ამოცანის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან შემდგომში შემუშავებული იქნას პაკეტების განაწილების ეფექტური ალგორითმი.

ლიტერატურა

1. Спортак М., Паппас Ф. и др. Компьютерные сети и сетевые технологии, изд. Diasoft, Москва - Санкт – Петербург- Киев 2002
2. Gabashvili N.V., Natroshvili O.G., Gogichaishvili L.I. and Robitashvili G.A. Optimum methods for distribution of intormation flows of high intensity in the network. GEN, №1, 2005.
3. Габашвили Н.В., Натрошивили О.Г., Робиташвили Г.А. Методы регулирования трафика Компьютерных сетей в условиях „пульсации“ информационными потоками высокой интенсивности. GEN, №2, 2005.

OPTIMAL METHODS OF DISTRIBUTION IN NETWORK SYSTEMS AT HIGH INTENSITY DATA STREAM

Natroshvili Otar, Choshtaria Cisana, Natroshvili Nino, Choshtaria Simon
Georgian Technical University

Summary

Processed by high intensity client-server data, methods of optimal packet distribution at output interfaces of switching nodes in computer networks at overflows.

ОПТИМАЛЬНЫЕ МЕТОДЫ РАСПРЕДЕЛЕНИЯ НАГРУЗКИ В СЕТЕВЫХ СИСТЕМАХ ПРИ НАЛИЧИИ ИНФОРМАЦИОННЫХ ПОТОКОВ ВЫСОКОЙ ИНТЕНСИВНОСТИ

Натрошивили О.Г., Хоштария Ц.Н., Натрошивили Н.О., Хоштария С.Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Разработаны оптимальные методы распределения пакетов на выходных интерфейсах коммутационных узлов при избыточных нагрузках клиент-серверной информацией высокой интенсивности.